საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 8147/01
02/08/2021

8147-01-2-202108021027

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“
მის: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. N5
ელ. ფოსტა: info@water.gov.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 17 ივნისის N10652 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, წყალმომარაგების სათავე ნაგებობის და მიმდებარე ტერიტორიის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში ქვანაყარი ბერმის ამგები საანგარიშო ქვის ზომად მოცემულია ≥1,0 მ, რაც ზოგადი ინფორმაციაა და საჭიროებს დაზუსტებას ქვის კონკრეტული დიამეტრი. გარდა ამისა, სკრინინგის განცხადების თანდართულ დოკუმენტაციაში („ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანგარიში“) წარმოდგენილი გრაფიკულ ნაწილში არ იკითხება ნიშნულები და ზომები (გვ. 10; 11; 12). გრაფიკულ ნაწილში, საპროექტო ნაგებობის განივ კვეთებზე დატანილი უნდა იქნას საანგარიშო ჰიდროლოგიური მონაცემები (მაქსიმალური დატბორვისა და კალაპოტის წარეცხვის დონეები).

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე